სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/126

ქ. თბილისი

28 მაისი 2019

სტუ-ის სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, სტუდენტთა განცხადებების, ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სწავლების, სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის და სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტების წარდგინებისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 მაისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2018-2019 სასწავლო წლის II სემესტრიდან დანართში მითითებული სტუდენტები გადაყვანილ იქნენ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**

/